როდესაც ალლაჰი შეკრებს პირველებს და უკანასკნელებს განკითხვის დღეს ყველა მოღალატეს მიეცემა დროშა, და იტყვიან: "ეს ამა და ამ კაცის შვილის ღალატია

გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც ალლაჰი შეკრებს პირველებს და უკანასკნელებს განკითხვის დღეს ყველა მოღალატეს მიეცემა დროშა, და იტყვიან: "ეს ამა და ამ კაცის შვილის ღალატია"».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ აღდგომის დღეს, როდესაც უზენაესი ალლაჰი შეკრებს პირველებსა და უკანასკნელებს სამსჯავროსა და ანგარიშისთვის, ყოველი მოღალატისთვის, ვინც დაარღვია ალლაჰის ან ადამიანების წინაშე დადებული ვალდებულება, დაიდგმება ნიშანი, რომელიც გაამჟღავნებს მის ღალატს. იმ დღეს გამოცხადდება: "ეს ამა და ამ კაცის შვილის ღალატია"; რათა შეკრებილი ხალხის წინაშე ნათელი და აშკარა გახდეს მისი საქციელის ბოროტება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/2936